ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 33

26 დეკემბერი 2019 წელი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ბ. დავითულიანი, ა. ლაშხი, გ. გოცირიძე, ე. კუხიანიძე, მ. დარჩია, ვ. ძნელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. გიორგი ახვლედიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. თარაშ შურღაია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. ლევან ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ლევან დარახველიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ოთარ გრიგოლია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ნინო ლაცაბიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. ილია ჯიშკარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. ვახტანგ შაქარიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი;
2. მაკა ნასრაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

სხდომას თავმჯდომარეობდა ბატონი ბექა დავითულიანი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი).

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 2019 წლის 26 დეკემბრის სხდომის თავმჯდომარის არჩევა;

   მომხსენებელი: ბატონი ოთარ გრიგოლია
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე (კომისიების გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარე).

2. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (#12-0319344108-03; 10.12.2019).

   მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;

შესაბამისი კომისიების გაერთიანებულ სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი ოთარ გრიგოლია, რომელმაც განმარტა რომ გაერთიანებული სხდომის ფორმატში მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, განათლებისა და კულტურის კომისია, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია და ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია. ბატონმა ოთარმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დაადასტურა შესაბამისი კომისიების ქვორუმის არსებობა და წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საერთო განსახილველი სხდომის საკითხი.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ბატონმა ოთარ გრიგოლიამ განმარტა, რომ მიმდინარე სხდომას, ვერ ესწრებიან განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი და მისი მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი ქეთევან ჯოხაძე, შესაბამისად, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს სხდომის თავმჯდომარის არჩევას მიმდინარე სხდომაზე მყოფი წევრების მიერ.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებმა კენჭისყრაზე დააყენეს საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 2019 წლის 26 დეკემბრის სხდომის თავმჯდომარედ, ამავე კომისიის წევრის, ბექა დავითულიანის არჩევის შესახებ.

მომხრე _____	5
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ გადაწყვიტა, რომ იგი მხარს უჭერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 2019 წლის 26 დეკემბრის სხდომის თავმჯდომარედ, ამავე კომისიის წევრის, ბექა დავითულიანის არჩევას.

2.დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის წარდგენისთვის სიტყვა გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსს, ბატონ გაიოზ თალაკვაძეს.

ბატონი გაიოზის განმარტებით, ის განსახილველად წარმოადგენს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თბილისის საკრებულოს რეკომენდაციების მიხედვით შესწორებულ, მეორე პროექტს. სამსახურის უფროსის თქმით, დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრება 1 021 400 000 ლარით, რაც 2019 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, 93 769 000 ლარით მეტია, ხოლო პრიორიტეტების მიხედვით ხარჯვითი ნაწილი შემდგენაირადაა გადანაწილებული:

სატნრასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და აღდგენა - 121 731 000 ლარი;

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 269 351 900 ლარი;

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება - გაუმჯობესება - 111 348 100 ლარი;

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 7 127 500 ლარი;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 296 300 ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 151 695 800 ლარი;

განათლება - 168 811 000 ლარი;

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული საკითხები - 41 835 600 ლარი

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 6 601 200 ლარი;

ქალაქ თბილისის წარმოამდგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯები - 104 597 100 ლარი.

ბატონი გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტში დამატებითი ღირებულების გადასახადიდან (დღგ) მისაღები შემოსავლის სახით გათვალისწინებულია 482 009 500 ლარი, საწარმოთა ქონებაზე გადასახადი - 2019 წლის ბიუჯეტთან შედარებით 20 000 ლარითაა გაზრდილი და შეადგენს 170 000 000 ლარს, ფიზიკურ პირთა ქონებაზე დაწესებული გადასახადი 19 000 000 ლარია, მიწაზე ქონების გადასახადი კი - 16 000 000 ლარს; ხოლო გრანტები - 90 963 000 ლარს შეადგენს; სხვა შემოსავლების ნაწილში კი საკუთრებიდან შემოსავლები - 8 600 000 ლარს, სათამაშო ბიზნესისთვის გათვალისწინებული მოსაკრებელი - 70 000 000 ლარს, დასახალებული ტერიტორიების დასუფთავებისთვის განკუთვნილი მოსაკრებელი - 48 000 000 ლარს; სანქციები, ჯარიმები და საურავები - 51 000 000 ლარს, ხოლო სხვადასხვა შემოსავლები - 25 395 000 ლარს შეადგენს.

ბატონმა გაიოზმა განმარტა, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მიერ გაწეული რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი, ხოლო დარჩენილი, რომლებიც სხვადასხვა საბიუჯეტო მუხლისთვის თანხების დამატებას შეეხებოდა, გათვალისწინებული იქნება დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების განხორციელების დროს.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

ბატონი ოთარ გრიგოლია დაინტერესდა 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში არის თუ არა დაფინანსების განსხვავებული მოდელით განპირობებული ცვლილება სოციალურ პროგრამებთან მიმართებით, რაც გულისხმობს დიფერენცირებას თბილისის რაიონების მიხედვით.

პასუხად ბატნმა გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ თბილისის გამგეობების სოციალურ მიმართულებათა ბიუჯეტები დაახლოებით იმგვარად არის შედგენილი, როგორც ეს გასულ წლებში იყო. აღნიშნული ფინანსები წარმოადგენს საბიუჯეტიო ასიგნებებს და არა მოსახლეობაზე პირდაპირ გადაცემულ სახსრებს. თუ რომელიმე რაიონის გამგეობას

სოციალურ დაფინანსებაზე მიმართვიანობა ეზრდება, დედაქალაქის მერია მას ბუნებრივად უზრდის სახსრებს და ამის პრეცედენტი თბილისის 2019 წლის ბიუჯეტშიც იყო. ბატონი გაიოზის თქმით, თბილისის სხვადასხვა რაიონებში სოციალური პროგრამების ნაწილში არათანაბარ საბიუჯეტო დაფინანსებას ადგილი არ აქვს.

საკრებულოს წევრის, ბატონი გიორგი ჩაკვეტაძის განმარტებით, საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ შეისწავლა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ორივე (თავდაპირველი და მეორედ გადამუშავებული) ვერსია და მოხარულია, რომ მერიამ გაითვალისწინა კომისიის მიერ წარდგენილი რეკომენდაციები. მისივე თქმით, თბილისში დაგეგმილი სპორტული ინფრასტრუქტურის პროექტები მაღალი ტემპებით მიმინარეობს. 2020 წლის ბიუჯეტში ასევე ასახულია დამატებით ერთი სპორტული ცენტრის მშენებლობისთვის სამუშაოების შესყიდვა. ბატონი გიორგი ჩაკვეტაძის ინფორმაციით, საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია მერიის წარმოამდგენლებთან ერთად, 2020 წლის განმავლობაში, კიდევ ერთხელ იმსჯელებს მწვრთნელების საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ, რომელიც ამავე კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, აღნიშნა, რომ საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ითხოვდა 2020 წლის თბილისის ბიუჯეტში ასახული ყოფილიყო თბილისის საკრებულოს შენობაში დიმიტრი ყიფიანის ბიუსტის განთავსება და ზვიად გამსახურდიას მემორიალური ობიექტის განთავსებას დედაქალაქში. დეპუტატის თქმით, ხსენებული ორივე წინადადება გათვალისწინებულია ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მერიის წარმომადგენლებს.

განათლებისა და კულტურის კომისიის მიმდინარე სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა დავითულიანმა განმარტა, რომ განათლებისა და კულტურის კომისიამ წარადგინა რამდენიმე რეკომენდაცია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან მიმართებით, რომელთაგან ნაწილი გათვალისწინებულია მეორედ წარმოდგენილ პროექტში. დეპუტატის თქმით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღების პერსონალისთვის წლის განმავლობაში ხელფასების მატებას. ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები, როგორც უკვე აღნიშნა საფინანსო სამსახურის წარმომადგენელმა, გათვალისწინებული ქინება 2020 წლის განმავლობაში ბიუჯეტის პროექტის ცვლილებებისას.

ბატონი ოთარ გრიგოლიას თქმით, თბილისის საკრებულომ არაერთხელ განიხილა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. აქვე, დეპუტატმა თხოვნით მიმართა მედიის წარმომადგენლებს, რომ როდესაც თბილისის

ბიუჯეტის საკითხებსა და მისი სოციალური ასიგნებების გადანაწილებაზე საუბრობენ, მიზანშეწონილი იქნება, მიმართონ თბილისის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ინფორმაციისთვის, რომ მათ მიერ მომზადებული სიუჟეტები სრულფასოვნად ასახავდეს რეალობას. ბატონი ოთარის თქმით, ტელევიზიებში გავიდა სიუჟეტი, თითქოს ადგილი აქვს მოქალაქეთა სეგრეგაციას უბნების მიხედვით, შესაბამისად, სხვადასხვა უბნის მცხოვრებლები განსხვავებულ სოციალურ დახმარებას მიიღებენ, რაც დეპუტატის თქმით სიმართლეს არ შეესაბამება და წარმოადგენს მანიპულაციას.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

ოთარ გრიგოლიამ, გაიოზ თალაკვაძემ, გიორგი ჩაკვეტაძემ, მარიკა დარჩიამ, ბექა დავითულიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოსთვის სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	6
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	0

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2020** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის, შესაბამისი სამსახურების მოსმენისა და მსჯელობის შედეგად, განათლებისა და კულტურის კომისიამ გადაწყვიტა, რომ იგი დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს შესაბამისი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ბექა დავითულიანი